შ.პ.ს. საპროექტო,
არქიტექტურულ–დიზაინერული სტუდია
„ბაზისი XXI“
საქართველო. თბილისი.
დავით აღმაშენებლის გამზ. №63-ა
ტელ. (+995 32) 295 66 63
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com

L.T.D. projecting,
architect-design studio
„BAZISI XXI“
63a Agmashenebeli av.
Tbilisi. Georgia
mob. mob. (+995 599) 77 21 77
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com

№160-2/16 „19“ დეკემბერი 2016 წ.

საექსპერტო დასკვნა

მელიქიშვილის ქ. N15-ში დაპროექტებული მრავალფუნქციური სახლის (ბლოკი A) კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე, ფუძე გრუნტების, საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების ნაწილში. ერთი სართულის დაშენების პერსპექტივით

ექსპერტი კონსტრუქტორი - ცერცვაძე იოსები 38 წლის სამუშაო სტაჟი, სპეციალობის მიხედვით ტ.ნ. 599-77-21-77

ქ. თბილისი 19 დეკემბერი 2016 წ.

განსახილველი კორპუსი უნდა აშენდეს მელიქიშვილის ქუჩის მარცხენა მხარეს ქუჩიშვილის შესახვევის გასწვრივ, საცხოვრებელი სახლის შენობა სხვადასხვა სართულიანია გრძივი მიმართულებით (5-7 სართული) და აქვს მიწაში ჩაღრმავებული სარდაფის სართული.

საპროექტო ნაგებობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია მონ. რ/ბ-ის ჩონჩხების კონსტრუქციებში.

ჩატარებული გეოლოგიური კვლევა-ძიების სამუშაოების თანახმად. სამშენებლო მოედნის ზედაპირიდან 3,5 – 7,6 მ სიღრმეზე განფენილია ნაყარი და თიხნარი გრუნტები, მცირე მოცულობით 10%-20% კენჭნარის ჩანართებით. აღნიშნულ ფენას ენაცვლება კენჭნარის ფენის ლინზები, რომლის სიმძლავრე 0,5 და 2,5 მ-მდე იცვლება. მათ დაბლა განლაგებულია მკვიდრი ქანების ქვიშაქვებისა და არგელიტების თხელი შრეები, რომლებიც სუსტად გამოფიტულია ზედა ნაწილში, ხოლო ქვევით გამოფიტვის ხარისხი კლებულობს.

გეოლოგიური დასკვნის თანახმად, მკვიდრი ქანების წინაღობა ერთღერძა კუმშვაზე შეადგენს - 70 კგ/მ² (გასაშუალოებული მნიშვნელობა ორივე შრისათვის (ქვიშაქვები და არგელიტები წყალგაჯერებულ მდგომარეობაში).

დასაპროექტებელი ნაგებობის გვერდით (მელიქიშვილის ქ. N13 და ქუჩიშვილის ქ, N12-ში) მდებარეობენ შენობები რომელთა სიახლოვე განაპირობებს მათ სტატუსს „გვერდზე მდგომი ნაგებობა“. ამათგან ქუჩიშვილის ქ. N12-ში გათვალისწინებულ მეზობელ ნაგებობას (სასტუმრო „პრიმა ვერე“), საპროექტო ქვაბულს ეკვრის ტორსული მხრიდან, დაფუძნებულია მონ. რ/ბ-ის ბურღვით-ნატენი ხიმინჯოვანი საძირკვლებით მკვიდრ ქანებზე და მის მდგრადობას ქვაბულის მოთხრის პროცესში არავითარი საფრთხე არ ემუქრება.

პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში გათვალისწინებულია შემდეგი საპროექტო გადაწყვეტები:

1. ქვაბული - პროექტის მიხედვით ქვაბულის მოთხრამდე გათვალისწინებულია ქვაბულის ფერდებისა და გვერდზე მდგომი ნაგებობის დამცავი ღონისძიებები

მდგრადობის თვალსაზრისით. (მელიქიშვილის N13). მეზობელი შენობის გასწვრივ შენობიდან 1,5 მ მანძილზე. (ღერძი „9“; „ა“ და „დ“ ღერძებს შორის) მოეწყო მონ. რ/ბ-ის ბურღვით-ნატები ხიმინჯების რიგი (ხიმინჯების დიამეტრი 0,3 მ) მათი მკვიდრ ქანებში ჩაანკერებით 1,0 მ სიღრმეზე. ამასთან ისინი გეგმაში გათვალისწინებულია ზიგზაგისებურად და მათ შორის ბიჯი - 0,8 მ-ს ეთანადება. გათვალისწინებულია ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (დასკვნის N-005 568 813; 18.12.2013წ.), წინადადება დამცავი რიგის ხიმინჯებისათვის ბიჯის შემცირების თაობაზე. თავდაპირველად პროექტში ბიჯი ხიმინჯებს შორის იყო 1,5 მ - მშენებლობის დაწყებამდე ის შემცირდა ორჯერ 0,8 მ-მდე. აღნიშნული ხიმინჯების რიგის ღერძმა შემოიწია საპროექტო ნაგებობის სარდაფის ფართის შემცირების ხარჯზე შენობის შიგნით. აღნიშნული ღონისძიება განპირობებული იყო გვერდზე მდგომი ნაგებობის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით. ხიმინჯების რიგი მოეწყო აგრეთვე როგორც მელიქიშვილის ქუჩის გასწვრივ ისე ქუჩიშვილის შესახვევის ნაწილზე.

სამეზობლო მიჯნის დანარჩენ სიგრძეზე (ღერძი „9“; „დ“ და „თ“ ღერძებს შორის) პროექტის მიხედვით მოეწყო დამცავი ფუნქციის მონ. რ/ბ-ის კედელი სისქით 0.5 მ, რომლის ძირის ნიშნული ჩაღრმავდა როსტვერკის ძირის ნიშნულიდან 0,5-ით დაბლა. აღნიშნული კონსტრუქცია განთავსდა მეზობელი შენობის (მელიქიშვილის N13) საძირკვლის გასწვრივ, შესაძლო დეფორმაციების აღკვეთის მიზნით. კედლის ცალკეულ მონაკვეთებად ჩასხმული კედლის ნაწილები, სიგრძით 1,2 მ შეიკრა სარდაფის ერის ნიშნულის დონეზე მონ. რ/ბ-ის როსტვერკით (ვეთი 0,5×0,6) მხოლოდ ამ ღონისძიებების განხორციელების შემდეგ დაიწყო საპროექტო ქვაბულის მოთხრის მიწის სამუშაოები.

2. საძირკვლები - მონ რკ/ბ-ის ბურღვით-ნატენი ხიმინჯების ტიპის საძირკვლები, რომლებიც სარდაფის ძირის ნიშნულზე შეკრულია ორივე მიმართულებით მონ. რ/ბ-ის როსტვერკებით (კვეთით 1,2 ×1,0, (h) მ. ხიმინჯის დიამეტრი 1,0 მ, სიგრძე - 4,0 მ-დან 10 მ-მდე იცვლება, მკვიდრი ქანების დახრილობის გამო (მელიქიშვილის ქუჩიდან ქუჩიშვილის ქ-ს მიმართულებით) საპროექტო გადაწყვეტის მიხედვით ხიმინჯები ჩაანკერდა ნაკლებად გამოფიტულ მკვიდრ ქანებში, მინიმუმ 1,0 მ სიღრმეზე. ექსპერტის აზრით შენობის აღნიშნულ ტიპის დასაძირკვლება მიწის ზედა სხვადასხვა სართულიანობის პირობებში, ამ კონკრეტულ უბანზე, სწორი საპროექტო გადაწყვეტაა. შესაძლო დეფორმაციების გაწონასწორების თვალსაზრისით.
3. საპროექტო შენობის მიწისზედა ნაწილის ჩონჩხედი. მონ. რ/ბ-ის ჩონჩხედის მზიდი, კონსტრუქციები, დაპროექტებულია ჩატარებული კონსტრუქციული ანგარიშების შესაბამისად „ЛИРА-САПР„-ის პროგრამის მიხედვით და მისი მზიდუნარიანობა გათვლილია დასამატებელი სართულის გაზრდილი ძალვების გათვალისწინებით.
4. ნაგებობა გადაწყვეტილია მონ. რ/ბ-ის ჩონჩხედის კონსტრუქციებში.

სვეტები მონ. რკ/ბ-ის კვეთით 0,6×0,6 მ პირველ სამ სართულზე. შემდეგ სვეტების კვეთი მცირდება 0,4×0,4 მ-მდე. სვეტები დაბლა ნაწილში მეორე სართულის ჩათვლით ჩასხმულია B-25 კლასის ბეტონზე და იგივე კლასის ბეტონზე უნდა ჩამოისხას ზედა სართულებზე.

რიგელები მონ. რ/ბ-ის B-25 კლასის ბეტონზე კვეთით 0,4×0,6 მ. რიგელის სიმაღლე 60 სმ გათვალისწინებულია ფილის სისქის ჩათვლით.

გადახურვები მონოლითური რკ/ბ-ის სისქით 18 სმ B-25 კლასის ბეტონზე დაარმირებული ორმაგი არმატურის ბადით ქვედა და ზედა შრეებში.

დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ:

1. ქვაბულის ფერდსა და გვერდზე მდგომი შენობის დაცვის მიზნით პროექტში ჩადებული საპროექტო წინადადებები სწორადაა განზრახული და განხორციელებული. ასევე სწორადაა ექსპერტის აზრით, შერჩეული ტექნოლოგიური სამშენებლო პროცესების თანმიმდევრობა განსაკუთრებით დამცავი კონსტრუქციების მოწყობის ცალკეულ მონაკვეთებად განხორციელების საკითხი. აღნიშნული მოსაზრება დასტურდება იმით რომ 2014 წლიდან, როცა დაიწყო მშენებლობა, გვერდზე მდგომ საცხოვრებელ სახლს მიუხედავად მისი რთული კონსტრუქციული მდგომარეობისა და ხანდაზმულობისა მშენებლობის პროცესის განხორციელებისას დამატებითი ზიანი არ მიჰყენებია. რაც დასტურდება ლევან სამხარაულის სახელობის ექსპეტიზის ეროვნული ბიუროს (დასკვნის N005 568 813; 18.12.2013წ) დასკვნის მოსაზრებებითაც.

   ამრიგად, მიუხედავად რთულ პირობებში განხორციელების კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი ერთი სართულის დაშენების პერსპექტივით იმსახურებს დადებით შეფასებას და ექსპერტის აზრით, საშუალების იძლევა გაგრძელდეს მშენებლობის პროცესი, ახალი შეთანხმებული საპროექტო პარამეტრების მიხედვით.

შ.პ.ს. „ბაზისი-XXI"-ის
გენ. დირექტორი,
ექსპერტი-კონსტრუქტორი ი. ცერცვაძე

საქართველო. შპს "ბაზისი XXI". GEORGIA. "BAZISI XXI" LTD. 202235296